№ 156

პარასკევი, 1 აგვისტო 1897 წ.

1877—1897

# ივერია

№ 156

პარასკევი, 1 აგვისტო 1897 წ.

ხაზეთის ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

**გორის სამასწავლებლო სემინარიაში** განმეორებითი ეგზამენები და გასინჯვა ექიმის მიერ ახლად მისაღებ ყმაწვილებისა 26 აგვისტოსათვის არის დანიშნული. 27 აგვისტოს დანიშნულია წერაში გამოცდა, ხოლო 28—ზეპირი გამოცდა იქნება. 1-ლს სექტემბერს პარაკლისი იქმნება გარდახდილი და სწავლა დაიწყება.

თავისუფალი ადგილებია: უმცროსს მოსამზადებელს კლასში—8 (მარტო თათრებისათვის), უფროსს მოსამზადებელს კლასში—11 და პირველს კლასში—2.

(3—6.—1).

**ანასტასიას სახელზედ გორში არსებულ დედათა პროგიმნაზიაში** მისაღები ეგზამენები 26—27 აგვისტოს იქმნება; განმეორებითი ეგზამენები 28 აგვისტოსათვის არის დანიშნული; 1-ლს სექტემბერს პარაკლისი იქმნება გარდახდილი და სწავლაც დაიწყება.

მოსამზადებელ კლასის უმცროსს განყოფილებაში მიიღებიან ექვსის წლისანი და უფროსნიც, თუნდაც რუსული და დედა-ენაზედ წერა კითხვა არ იცოდნენ.

მოსამზადებელს კლასებში წლიურად სწავლის ფასი 26 მანეთია.

(3—6.—1).

## მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნა: 1 ბატარეის პირველი გრენადერის გენერალ-ფელდმარშალის გრაფ ბრიუსის არტილერიის ბრიგადის უფროსი, პოლკოვნიკი მაკარაშვილი—მისის იმპერატორებითის უმაღლესობის გენერალ-ფელდცეხმეისტერის პირველ ბატარეის კავკასიის გრენადერის მისის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის არტილერიის ბრიგადის უფროსად.

ებოძათ: სამსახურის წელთა შესრულების გამო კოლეჟსკი რეგისტრატორობა: ტფილისის გუბერნიის, გორის სამაზრო პოლიციის გამგეობის საქმისმწარმოებელს ინაშვილს და ტფილისის გუბერნიის სიღნაღის სამაზრო პოლიციის გამგეობის კანცელარიის მოხელეს ნასიძეს.

## ახალი ამბავი

⁂ გუშინ წინ, 30 ივლისს, ბუხარის ემირმა ტფილისის სახელმწიფო თეატრი დაათვალიერა. ბუხარის ემირთან ერთად იყვნენ: ტფილისის გუბერნატორი თ. ა. ბიკოვი, კამენდანტი გენერალ-მაიორი ი. ნ. რეიტერი და ტფილისის პოლიცმეისტერის თანამდებობის აღმასრულებელი ზ. ტ. ლოლაძე.

⁂ კავკასიის მთავარ მართებელმა ამ რამდენისამე ხნის წინად შუამდგომლობა გასწია უმაღლესს მთავრობასთან კავკასიაში ოთხი ახალის სახაზინო პალატის დაარსების შესახებ. ფინანსთა მინისტრმა ეს შუამდგომლობა შეიწყნარა და მალე კიდეც შეუდგებიან ხაზინების დაარსების საქმეს. ჩრდილოეთ კავკასიაში ერთი ხაზინა იქმნება დაარსებული ქ. ეკატერინოდარში ყუბანის ოლქისა და შავის ზღვის პირის გუბერნიისათვის, ხოლო ამიერ-კავკასიაში—სამი: ერთი ქუთაისში—ქუთაისის გუბერნიისა და ყარსის ოლქისათვის, მეორე განჯაში—განჯის ოლქისა და იმიერ კასპიის ოლქისათვის და მესამე ერევანში—ერევნის გუბერნიისათვის.

⁂ ტფილისში ჩამოვიდა მიწადმოქმედების სამინისტროს მიერ გამოგზავნილი მოხელე ბ-ნი იაჩევსკი, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს კახეთში ვაზის სხვა-და-სხვა ავადმყოფობა, განსაკუთრებით ბლეკროტი, და აგრედვე თუთის ავადმყოფობა აღმოსავლეთ საქართველოში.

ბლეკროტის ავადმყოფობისავე გამოსაკვლევად კახეთში საფრანგეთიდგან მოდის თურმე საფრანგეთის ბოტანიკოსი ვიალა.

⁂ იმ კომისიის თავმჯდომარემ, რომელსაც მინდობილი აქვს პოლიციის არხივის ქაღალდების გასინჯვა, აცნობა ტფილისის პოლიცმეისტერის თანამდებობის აღმასრულებელს, რომ მრავალი საბუთები და ქაღალდები ვიპოვნეთ ეტრატზედ დაწერილიო, რომელშიაც ქართველი მეფეები სხვა-და-სხვათ თავადობას და ადგილ-მამულებს უბოძებენო. ყველა ესსაბუთები და ქაღალდები საარქეოგრაფიო კომისიას გადაეცემა. იპოვნეს აგრეთვე დაუთავებელი შრომა უმაღლესად დამტკიცებულის კომისიისა, რომელიც ტფილისის პოლიციის არხივის ქაღალდების განხილვას შეუდგა და მუშაობდა 1870 წლ. 1877 წლამდე. მრავალი საქმე და ქაღალდი წახდენილი და გაფუჭებული ყოფილა წყლისაგან, რომელიც ნიაღვრების დროს არხივის შენობაში შედიოდა თურმე.

⁂ სატახტო ქალაქების გაზეთების სიტყვით, რკინის გზის გაყვანის საქმე კავკასიის ქედზე ჯერ-ჯერობით გადადებულია, ვიდრე ციმბირის რკინის გზა არ იქმნება გაყვანილიო, სამინისტროს ინჟენერ რუდნიცკის გამოკვლევანი მოსწონებია.

⁂ ყველა იმ ქალაქში, სადაც ქალაქის საქმეებს ეხლა პოლიცია განაგებს, მომავალ 1898 წლიდგან უკვე შემოღებულ იქმნება ქალაქის თვით-მართველობა.

⁂ ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილების სესსია კახეთში სხვა-და-სხვა საქმის გასარჩევად შემოდგომაზედ წავა. სესსია ქ. თელავში 11-დგან 15 ოქტომბრამდე დაჰყოფს, ზაქათალაში—18—20-მდე და სიღნაღში—24—30 ოქტომბრამდე. სამივე ქალაქში 30 საქმეა დანიშნული განსახილველად.

⁂ ამ ჟამად კავკასიის მთავრობა ჰფიქრობს მოუმატოს მაზრის პოლიციას. მაზრის პოლიციის მომატებას თხოულობენ აგრეთვე თელავისა, თიონეთისა, ახალქალაქისა და ახალციხის მაზრის უფროსები. თელავის მაზრის უფროსი თხოულობს, მოიმატეთ 1 ურიადნიკი და 41 ჩაფარიო. (ამ ჟამად ჰყავს 2 ურიადნიკი და 15 ჩაფარი). თელავის მაზრაში ზაფხულობით დიდ-ძალ საქონელს მიერეკებიან ხოლმე და ამიტომ თვით მაზრა აყენებს ხოლმე 500 კაცს დარაჯს და ეს, რა თქმა უნდა, სოფლისათვის მეტად საზარალოა. გარდა ამისა, ამ მაზრაში ჩაფრების მიმატება მით უფრო საჭიროაო, ამბობს მაზრის უფროსი, რომ დაღესტანსა და თელავის მაზრის შუა ახალი გზა-ტკეცილი კეთდება და ამიტომ მოძრაობა უფრო გაძლიერდებაო.

თიონეთის მაზრის უფროსი თხოულობს 6 ურიადნიკისა და 40 ჩაფრის მომატებას.

ახალციხის მაზრის უფროსი თხოულობს, რომ 23 ჩაფარის მაგიერ 122 მომეცითო და მაშინ სრულე

## ფელეტონი

### სცენა სოფლად

(საარჩევანო ეპიზოდი)

ს. №-ში დიდი სიჩუმე სუფევდა. სოფელი ღრმა ძილში იყო, მხოლოდ აქა-იქა მოისმოდა ძაღლების ნაძალადევი წკავ წკავი. ღამის რვა საათი იქნებოდა, როდესაც კნიაზ ოთარ დინჯაძე და მისი მეუღლე სიდონია თავისის სამის გასათხოვარის ქალით დასაძინებლად ემზადებოდნენ. ოთარმა გაიხადა ტანისამოსი და ჩაწვა ლოგინში. ამათმა ქალებმაც—მაშომ, სოფომ და დარომ, გაშალეს პატარა ტახტზედ ერთი ხელი ლოგინი და სამივენი ვაი ვაგლახით მოთავსდნენ. სიდონიამაც გაიძრო ხელზედ დახვეული ღაზლის ძაფი, შეახვია ოთარის წინდა, დასდო სარკმელში და თანაც ტანისამოსის გახდა დაიწყო. ამ დროს ახლად მოსულმა სტუმარმა შემოჰყვირა კარებში:

— ოთარ, გამოიხედე, კარში ვინა ვართ!..

ოთარმა გადიცვა თეთრი ჩოხა პერანგზედ, წაჰყო თავისს მეუღლის წითელ ფლოსტებში ფეხი და გავარდა გარედ.

— ბიჭოს! შესძახა ოთარმა მგზავრებს, ნაცნობ ხმასა ჰგავს!..

სიდონიამ კარებში სანთელი გამოანთო. ქმარს აღარ დააცადა:

— „ქა! ეგ ხომ ჩვენი სანდროა, სთხოვე ოთარ, რაღას აცდეინებ!" თან ჭყივილით შეტრიალდა და წაჰკრა ქალებს მუჯლუგუნი—ადექით, თქვე გასაწყვეტნო, ქალაქელი სტუმრები გვეწვივნენ, აალაგეთ აქაურობა. თითონ-კი ხან ერთ კედელთან მიიჭრა, ხან მეორესთან და დააპირა დალაგება, მაგრამ, რა უნდა დაელაგებინა, სადაც ერთი ტახტის მეტი არაფერი იდგა. მაშო წყნარად წამოდგა, ჩაიცვა ტანისამოსი და გააღვიძა სოფო და დარიკო. ესენიც ფაცა-ფუცით წამოდგნენ და ერთი-ორი წაუთავაზეს კისერში ერთმანეთს.

— ადე, დარო, ქალაქიდგან „ჟენიხი" მოგსვლია, ეუბნებოდა სოფო დაროს. შენმა თავის გახეთქამ, ბზუკუნით უპასუხა დარომ, შენ გათხოვებისთვის გაგაჩნიასა ჰყრი და მეკი მახარებ. ამ მღვდელს მოართვითო, შენ ისე მოგდის. მაშომ დებს შეუტია—რას ჩხუნკალაობთ, ადექით ჩქარაო.

ქალები წამოცვივდნენ საჩქაროდ და ჩაიცვეს ტანისამოსი, ლოგინიც დაუკეცავი ჩაჰყარეს სალოგინეში, წამოუსვეს ხელი ტანისამოსსა და რაგინდარას და ისიც სალოგინეში ჩაუძახეს. კარი გაიღო და შემოვიდნენ სამი ახალგაზდა ყმაწვილი კაცი. სამივენი მეტად სუფთად და ლაზათიანად იყვნენ ჩაცმულნი. ორს „სტაცკურად" ეცვა, მესამეს კი ამშვენებდა ჩოხა ახალუხი შავი გიშრის ქამარ-ხანჯლით. ვერცხლის კოხტა ხმალი მხარზედ გადაკიდული ჰქონდა და ლაპარაკის დროს ხელს ხმლის თავზედ აბჯენდა.

— ოჰ, რანაირად დავიღალენით, საიდგან მოვდივართ ეხლა, რომ იცოდეთ, სთქვა პირველმა სტუმარმა.

— ქვეშეთიდგან წამოვედით და ტარტაროზიანთ კარს შევიარეთ. ახლა აქ მოვბრუნდით. ყველგან-კი გავიმარჯვეთ, ყველა დაგვთანხმდა...

— რას ბძანებთ, ბატონო, ამბობდა მეორე სტუმარი, ამისთანა რეგვენი ხალხი არ გაგონილა, როგორც ამ ჩვენ ტარტაროზიანთ მაზრაში მოიპოვება. ზოგს ვერც-კი შევასმინე, თუ რა აუცილებლივ საჭიროა ტფილისში ჩამოსვლა კრებაზედ. თავი გამისქდა იმათ ჩიჩინში. მანამ გზის სახარჯო არ დავუტოვეთ, არ იქმნა იმათი დაყოლიება. მერე-კი სთქვეს—თუმცა ბევრი საქმეები გვექნება, მაგრამ რადგან ხარჯი არა მოგვივა-რა, ჩამოვალთო...

— ის ბრიყვები აგერ ორი თვეა, რაც შეკვეთილი მაქვს ა. ალალაძესთვის, ცხრამდე ოთახი სასმელსაჭმელით დამიმზადოს მაისისთვის. აგათ-კი ჰგონიათ, ვითომ მარტო მგზის ხარჯის მეტი სხვა არაფერი გვეხარჯებოდეს-რა,—ასე სჩიოდა მესამე სტუმარი.

— თქვე დალოცვილებო, გაუგებარი და შეუგნებარი ხალხია, ამბობდა ოთარი. განა არ მოგეხსენებათ ჩვენი თავად-აზნაურობის ჯიბის ბარაქა?!. თქვენმა მზემ, და უკეთ დაიჯერებთ—მამის ჩემის იორამ სარდიონის ძის სულის განათლებამა, ჩვენისთანა გაჭირვებულს მდგომარეობაში ახლა აღარავინ არის. წელებზედ ფეხს ვიდგამ და ძლივ-ძლივობით ლუკმას ვაჭმევ ჩემ ცოლ-შვილსა. ოცი დღის ნახნავში ორმოცი კოდი ჭინახული ძლივს მამივიდა. ხომ მოგეხსენებათ, ჩვენი ჩაცმა, დახურვა... მტერი, მოყვარე, ჭირი, ლხინი, მოჯამაგირე,—ყველა ჭინახულით უნდა მოვიშოროთ. ვენახებია და ესეც ხომ ხელს არ გვაძლევს,—ყოველ წელიწადს ხან ვაზის ჭრაო, ხან რთვილიო... წრეულ რთველი თვალითაც არ გვინახამს, ჩემი ცოლ-შვილი არ დამეხოცება.

კნ. სიდონიაც ჩაერია ამ საუბარში და, ცოტა არ იყოს, გაუგებრად წამოროშა:

— იმ უბედურებს ჰგონიათ ჩვენის ჯიბიდამ დავხარჯამთო... სად არის გენაცვათ სოფლად ფული!?.

საუბარს მალე ვახშამიც ზედ მოჰყვა. ოთარი თავისს სტუმრებს რიგიანად გაუმასპინძლდა. ცივი ღვდალი და მოხრაკული ვარია ახლად მოხდილს ღვინოზედ დაღალულს მგზავრებს მეტად იამათ და ეგემათ. ვახშმის დროს მასპინძლის მომწიფებული ქალები ეშხიანად კეკლუცობდნენ და მუშტრის თვალით აშტერდებოდნენ მეტადრე მესამე სტუმარს, ჩვენებურს ტანისამოსში კოხტად გამოწკეპილს. მისის სილამაზით რაღაცა გამოუთქმელს სიამოვნებას გრძნობდნენ. არც ამ ვაჟბატონს ეტყობოდა გულ-გრილობა. ის სიამოვნებით აკვირდებოდა მოხდენილს, ლამაზს, თეთრ-წითელს, შავ-თვალწარბა ეშხიანს მაშოს.

სიდონიამ სტუმრებისათვის ორი ხელი ლოგინი მეზობლისგან ითხოვა. ერთი ხელი ლოგინიც შინ მოიხერხა და სტუმრებს გრძელ ტახტზედ ცალ ცალკე გაუშალა. თავიანთთვისკი საწოლი საკუჭნაოში მოიმზადა. შეზარხოშებული ოთარი სტუმრებს აღარ შორდებოდა და მუთაქაზედ წამოწოლილი დიდხანს ემუსაიფებოდა.

მეორე დღეს სტუმრები „ვიზიტებად" მეედვნენ. პირველად კაჭკაჭაანთ ნინუცას ესტუმრნენ და დიდი ბოდიშიც მოიხადეს, წუხელის ველარა გნახეთ, რაკი კნიაზ ოთარმა აღარ გამოგვიშვაო... ნინუცამ მაინც უსაყვედურა და ნიშნად გაჯავრებისა სადილად არ დაჰპატიჟა. მგზავრებს თუმცა მარტის სუსხიანი ქარი აწუხებდა, მაგრამ სიცივეს არ ეპუებოდნენ. როგორც დავალებული ჰქონდათ,—ყველგან ალილო ჩამოიარეს, „სახარჯო" და „საგზაო" დაურიგეს მსურველებს და მეორე დღეს სხვაგან გაემგზავრნენ. ოთარის სახლობიდამ ორი კენჭოსანი დაიკვეთეს—თითონ ოთარი და მისი კნეინა სიდონია...

***

დადგა აპრილი და სოფელ №-ში გახშირდა ლაპარაკი—აბა, ქალებო,

ბით საჭირო აღარ იქმნება ყაზახები, რომელნიც ეხლა ჩვენს მაზრაში არიანო.

ახალქალაქის მაზრაში, უფროსის სიტყვით, საჭიროა 3 ურიადნიკი და 28 ჩაფარი.

⁂ გუშინ-წინ, 30 ივლისს, ტფილისის ოლქის სასამართლომ ტფილისის ვაჭარი გიორგი ნიკოლოოზის ძე შადინოვი შეუძლებელ მოვალედ (კოტრად) სცნო და გადასწყვიტა დააპატიმრონ. სასამართლოს სხდომას შადინოვი არ დაესწრო.

⁂ ყაზახის მაზრის ბოქაული თავ. აბაშიძე, მისი მდივანი და 5 ჩაფარი ავაზაკებს მოუკლავთ ბრძოლის დროს („ნოვ. ობოზ.“).

⁂ ქუთაისიდგან სწერენ „ნოვ. ობოზ“-ს: 15 ივლისს, ბ-ნ გ. ოჯახში, რომელიც რკინის გზის მახლობლადა სცხოვრობს, ერთბაშად და მოულოდნელად სამი ბავშვი გახდა ავად. ბავშვებს სიცხემ მოუმატა, ხველა და პირის ღებინება დააწყებინა და ამ გარემოებამ ძალიან შეაშინა დედ-მამა. ხელად კაცი ექიმ ო—სთან აფრინეს, მაგრამ გაგზავნილი კაცი უკანვე დაბრუნდა და სთქვა, რომ ექიმი არ მოდისო. ხვეწნამა და მუდარამ ვერ მოალბო ექიმი და ის მაინც არ წამოვიდა ავადმყოფთა საშველად. ექიმი (რკინის გზაზედ ჰმსახურებს) თავის გასამართლებლად იმას ამბობდა, რომ ბ ნი გ. ჩემს ნაწილში არა სცხოვრობსო. უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ექიმი ახალგაზდა კაცია, მხოლოდ გუშინ გაათავა უნივერსიტეტი და დღეს-კი ასე იქცევა. განა სამწუხარო არ არის ეს? ამ საქმის თაობაზედ რკინის გზის პოლიციამ შესაფერი ოქმი შეადგინა.

⁂ როგორც „კავკასი“ ამბობს, ამ დღეებში დ. სარაჯიშვილის სახლის უკან, ყრუ ვიწრო ქუჩაზედ, შადინოვის საწყობში, პოლიციამ დამპალი და გაფუჭებული „სელდები“ აღმოაჩინა. ოქმის შედგენის დროს შადინოვმა განაცხადა, რომ სელდები სხვამ გამომიგზავნა კომისიით გასასყიდადაო. ქალაქის ექიმმა ბ-ნმა ზელნიცკიმ სელდები უვარგისად სცნო.

კიდევ „სელდები“? ძალიან მოსაგები საქონელი უპოვნიათ ეს საბრალო თევზები ჩვენს ვაჭრებს. საკვირველი ისიც არის, რომ ვაჭრების ყოველს ასეთს უკუღმართობას პოლიცია მიაგნებს ხოლმე და არა ისინი, რომელთაც ქალაქისაგან აქვთ დავალებული ეს საქმე!..

⁂ ახალ სენაკი: აქ მშვენიერი და ზომიერი ჰაერია. წვიმები დროზედ მოდის. ჭირნახულსაც კარგი პირი უჩანს. 26—27 ქუქუნა წვიმა მოვიდა, რომელიც მალამოა სწორედ ჭირნახულისათვის...

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სამეგრელო**, 28 ივლისი. თითქმის ყოველ დაბა სოფლიდგან იწერებიან როგორი პირი უჩანს წრევანდელს მოსავალსა და როგორ შეხარის მას ჩვენი „ფუხარა“. ჩვენს სამეგრელოში თუმცა ცოტა დაითესა ყანები, მაგრამ რაც არის, იმას ღვთით ჯერ-ჯერობით უფლის თვალი დაჰყურებს. მართალია, ივნისის თვის გამუდმებულმა გვალვამ ცოტა არ იყოს ძალიან შეაწუხა სიმინდი, მაგრამ დადგა თუ არა ივლისი, დრო გამოშვებით წვიმები და ცვარწამი ხშირად მოდიოდა, რომელმაც შეწუხებულს ჭირნახულს კვლავ დაუბრუნა სიცოცხლე. სიმინდსა და სხვა მცენარეს, თუ ბოლომდე უკლისად იქმნა, გვარიანად მოვკლით. საჭიროა, ჩვენს ნაჭირნახულევს, ე. ი. სიმინდს საზღვარ გარეთ გასავალი ჰქონდეს და ამითი დაუბრუნდეს სიმინდს ისევ ის ფასი, რომელიც ამ ოთხის წლის წინად იყო. ღმერთმან ნუ ქნას, რომ წელს მაინც ბაზარი არა ჰქონდეს სიმინდს, მაშინ ხომ ან უნდა გადავიკარგოთ და ან „მეწყერში“ ამოვყოთ თავი, მით უფრო, რომ ჩვენში ისე დაქვეითდა და გაღარიბდა ნივთიერად ხალხი, რომ კაპეიკის შოვნის წყარო სხვა გზით არსაიდგან არ არის...

აბრეშუმის მოსავალიც წელს საერთოდ მთელს სამეგრელოში კარგი იყო. ასე წარმოიდგინეთ, თითქმის არ დარჩენილა ისეთი ოჯახი, რომ წელს აბრეშუმის ჭია არა ჰყოლოდათ. ორთაშუა რიცხვით რომ ვიანგარიშოთ 5—10 მანეთის შემოსავალი ჰქონდა თითოეულს ოჯახს. ესეც კარგია, მით უმეტეს, რომ ამას მომავალისათვის ერთი უპირველესი და თვალ-საჩინო ადგილი ექნება, რადგანაც დღესვე ბაასობენ ამაზედ ჩვენი მეაბრეშუმენი მის რიგიან მოვლა მოშენებისათვის...

ადესის ვაზს ისე ბლომად ასხია ზოგიერთს ადგილებში, რომ ხის ტოტები ვერ იმაგრებს ყურძნის მტევნებსა, თუ ქარმა არ აზარალა, მრავალის წლის ხავს-მოკიდებული ქვევრები გაივსება. ასე წარმოიდგინეთ, ჩვენი ოდესღაც სახელ-განთქმულ „ოჯალეშსაც“ საუცხოვოდ ასხია. ადესის ვაზს ჩვენი ხალხი აქამდის ცალის-თვალით უყურებდა, შინაურობაში ჰხმარობდნენ, სტუმრის წინ გამოჩენისთვის ერცხვინებოდათ, მაგრამ დღეს უპირველესი ადგილი უჭირავს. აქამდის თუ სირცხვილი იყო იმითი ქორწილის გადახდა, დღეს ქორწილშიაც ვხედავთ და მისგან შეხურებულთაგან მეგრულ საამო სიმღერას ქორწილის დროს „კუჩხა ბედნიერას“ ვისმენთ და ხმალ-ხანჯლების ტრიალსაც შევესწრებით ხოლმე.

ტრიფონ კალანდარიშვილი

# რუსეთი

—

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ფელიქს ფორს ორი საუცხოვო ვაზა გაუგზავნია ქ. პეტერბურგისათვის საჩუქრად. ქალაქის გამგეობამ უკვე მიიღო ვაზები და ალექსანდრეს დარბაზში დასდვა ხელმწიფე იმპერატორის სურათის მარჯვნივ და მარცხნივ. ვაზებზედ რთვლობაა დახატული.

— დანიისა, ინგლისისა, გერმანიისა და შვეციის მთავრობათ გარდაუწყვეტიათ, რომ როდესაც საფრანგეთის ფლოტის დივიზია, რომელშიაც საფრანგეთის პრეზიდენტი ბ ნი ფორი იქმნება, მათის სახელმწიფოების ნაპირებზედ გაივლის, საპატიო ესკადრა აახლონ თან.

— ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტში შესვლის მსურველთაგან თხოვნებს 10 აგვისტოდგან აღარ მიიღებენ; აღარ მიიღებენ თხოვნებს აგრეთვე იმათგან, ვისაც სხვა უნივერსიტეტიდგან პეტერბურგისაში ჰსურს გადასვლა.

— საიმპერატორო სამხატვრო აკადემიაში ამ წელს თავისუფალ ყურისმგდებლებს არ მიიღებენ. დღემდის აკადემიაში ყურის-მგდებელთაგან მხოლოდ რამდენიმე კაცი იქმნა დატოვებული ერთის წლით.

— ტომსკის უნივერსიტეტთან სულ მოკლე ხნის განმავლობაში საბაქტერიოლოგო ინსტიტუტი იქმნება დაარსებული. ინსტიტუტისათვის საჭირო თანხას ვ. ტ. ზინინი დაჰპირებია. ზინინს სურვილი განუცხადებია, რომ ახლად დაარსებული ინსტიტუტი „ზინაიდა ჩურინის ინსტიტუტად“ იწოდებოდეს.

# უცხოეთი

—

**გერმანია**. გერმანიის გაზეთების სიტყვით, გერმანიის სახელმწიფო კანცლერი თავ. ჰოჰენლოე თანამდებობას თავს ანებებს. ამ ჟამად თავ. ჰოჰენლოე იმპერატორთან ერთად რუსეთშია და დაბრუნდება თუ არა, თხოვნას მიართმევს იმპერატორსე და კანცლერობაზედ ხელს აიღებსო. ამის გამო გაზეთები დიდს მითქმამოთქმაში არიან და ახლავე უნდათ გაიგონ, იმპერატორი ჰოჰენლოეს შემდეგ ვის დანიშნავს სახელმწიფო კანცლერად. უმეტესობა ამ თანამდებობაზედ გარეშე საქმეთა სამინისტროს სტატს-სეკრეტარს ფონ-ბიულოვს ასახელებს. ფონ-ბიულოვი ელჩად ნამყოფია და მხოლოდ ამ ერთის თუ ორის თვის წინად იქმნა დანიშნული სამინისტროს სტატს-სეკრეტრის თანამდებობაზედ. იგი კარგ დიპლომატად არის ცნობილი და, გაზეთების სიტყვით, იმპერატორს ვილჰელმს ძალიან უყვარს. ფონ-ბიულოვის გარდა, გაზეთები კანცლერის თანამდებობაზედ სხვათაც ასახელებენ, მაგრაფ ეილენბურგს და ფონ-მიკელს.

დიდი ლაპარაკი აქვთ აგრეთვე გაზეთებს იმპერატორის ვილჰელმის რუსეთში წასვლის გამო. ბევრი იმის განჩხრეკა-განხილვაში შედის, თუ რა შედეგი ექმნება პოლიტიკაზედ ორის იმპერატორის და იმათ მინისტრების შეხვედრას და რა გვარს მიმართულებას მიიღებს გერმანიისა და რუსეთის ურთიერთ შორისი დამოკიდებულება. ბევრი კიდევ იმას იკვლევს, რომელი უფრო კარგად იქმნება მიღებული რუსეთში, გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი, თუ საფრანგეთის პრეზიდენტი ფელიქს ფორი. „ძალიან შემცდარნი არიან ისინი, ამბობს გაზ.

---

მაისში თქვენი დღეობაზ. ვინძლო ყოჩაღად ჩახვიდეთ ქალაქში და გამარჯვებული დაბრუნდეთ. ამ ჰანგზედ უფრო ოთარ დინჯაძე და კაჭკაჭაანთ ნინუცა ესაუბრებოდნენ ქართულ კენჭოსან მანდილოსნებს.

აპრილის თბილი და სასიამოვნო დღე იყო. მინდორ-ველს მწვანე ფერი დასდებოდა. ყველას კარ-მიდამოზედ ბაღჩები აკოკრებულ-აყვავებულიყო. მინდორზედ გოგო-ბიჭები კალათებით მხლისა და კოჰხილას საკრეფად მოფენილიყვნენ. მუშა ხალხი, უფრო კი გლეხ-კაცობა, სასიმინდეს ჰხნავდნენ და ღიღინით გუთანს ასდევ-ჩასდევდნენ. მათი ჯალაბობა კაბა აკარწახებული ხურჯინებით ჯერს მიატუსტუსებდნენ. ს. №-ს თავად-აზნაურობა ათიოდ კომლამდე ესახლა და ისიც მეტი ნაწილი უმხნევო და უსარისტობით მოქანცული. ამისთანა სანატრელს დარში ზოგი ტახტზედ გორაობდა გულ-დაღმა, ზოგსაც გაეტანა ხალიჩა, გაეშალა კარებზედ და, მუთაქაზედ წამოწოლილი, თავისს ნესტან-დარეჯანთან ნარდს თამაშობდა.

ამ დღეს ოთარ დინჯაძის კარ-მიდამო დაკრიალებული იყო, კაჭკაჭაანთ ნინუცას ელოდნენ. აქ შეკრებილიყვნენ და კუნძებზედ იყვნენ ჩამოსკუპულნი: კნიაჟნა ქეთო, მწუხარიძის ასული, კნიაზი კოტე სუსნიაშვილი, ჭაჭაძეანთ ანდუყაფარი, დონჯაძიანთ მაკრინე, მღვდლის შვილი ლევანი, ოთარ დინჯაძე და მისი სახლობა.

ოთარის სახლის მახლობლად განსვენებულის ზაზა ჭიმიაძის ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი იდგა, სუფთად და კოხტად გალესილი, თავისის აივანით. წინ პატარა ხილის ბაღი ჰქონდა. აივანი ოთარის სახლს გამოჰყურებდა. ჭიმიაძის კნეინა თამარი მალ-მალ გადმოეყუდებოდა აივანზედ და უყურებდა ოთარის კარებზედ შეგროვილს ხალხს. თამარი ძველებურად გურჯასპიან იასამნის ფერის ქიშმირის კაბაში იყო გამოწყობილი, იის ფერის, ატლასის სარტყელ-გულის-პირს უმშვენებდა ბეჭებზედ წამოსხმული ქირმანის შალი, თავი მაღლა ჩიხტი კოპით ეხურა და სადა ხავერდის თავსაკრავს თხილის მარცვლის ოდენა ფირუზის შუბლის ქინძისთავი ულაზათიანებდა. უნდა მოგახსენოთ, რომ თამარს მუდამ ფაქიზად უყვარდა ჩაცმა. ორი ვაჟის მეტი შვილი არ გასჩენოდა და ისიც რუსეთში ჰყავდა სასწავლებლად. თამარის, თუმცა ქვრივი იყო, სარისტა და უნარი ბევრს მამაკაცს ენატრებოდა. თითონ თბილისელი შემძლებელი თავადიშვილის ქალი იყო და ნათესაობაც ბევრი ჰყავდა. კრება დაიწყო სწორედ თორმეტს საათზედ.

— იცით, ყმაწვილებო და ქალებო, ეხლა თბილისში ჩასვლა რა სასარგებლოა ჩვენთვის და ყველასთვისაც, რომელსაც საერთო და საქვეყნო საქმე ესმის. დროა, რომ ის ჩვენი საკუთარი ამაგი და ლუკმა კარგის ხელში გადავიდეს. ეყო მაგ ბატონს... ამდენი ხანია მარტო თითონ სჭამს... ზოგი ახლა სხვას ერგოს. ვეცადოთ ყველა ჩვენგანი, რომ კენჭი შავში, შავში და შავში, ასე მჭევრ-მეტყველებდა ჭაჭაძეანთ ანდუყაფარი. სუსნიაშვილს კოტეს სახე გაჰყვითლებია, თვალები მეტის ლოთობით ჩაჰლულვია, პირის კანი მოჰპრანჭვია, თუმცა-კი ჯერ შუახნისაც არ არის. თმა დაუვარცხნავ აწეწილ თავზედ ოდნავ მოთეთრო ჩიხოლიანი შავ-კიკიროზიანი შლაპკა ახურავს, ჩითის დაგლეჯილ პერანგზედ კოჭებამდის ჩაკიდული შეხეულ-შეფხრეწილი ჩოხა აცვია, რუსულ ტილოს გამჭვარტლულ გაქონილს შარვალზედ, ამოგლეჯილ მუხლის თავებზედ, ჩოხის კალთებს იფარებს, გათუთხნულ ჩუსტებში ტალახიანი ფეხები წაუყვია. დასაწერს ქაღალდში მახორკა პაპიროსად გაუკეთებია და ამპარტავნულად ეწევა. ერთი გააჭყიპა კოტემ და მერე დაიწყო:

— მეც მაგას არ ვამბობ, რომ ეგ კაცი მაგ ჩვენს ამაგს სჭამს?... ეს ოხერი, ჩვენ-კი კაცები არა ვართ?! მაგას უნდა ჭამა და სხვას-კი არა? „ჩორტიო ზნაით!“ ჩაურუსულა.

— თუ ჩვენსას არ გავიყვანთ და ვერ გამოვცვლით, ე ხმალი ხომ აქა მაქვს. ავარდები, ი რაღაცა მაღლა რომ წამომსხდარან და ჩემის ხორასნის ხმით კისრებზედ თავებს მოვაშორებ, კვეხულობდა ხიფათიძიანთ სარდიონი. გვეყო ამდენი მოთმენა. თუნდა იმ ქალაქელ ყმაწვილებსაც არ ეთქვათ, განა ჩვენ-კი ისე უგონონი ვართ, რომ ვერ მიუხვდეთ, რასაც ეშმაკობენ, რასაც გვიპირებენ?! იქნება ჩვენშიაც გამოჩნდეს ისეთი კაცი, რომ იმ ტიალ ბანკში თავმჯდომარეობა გასწიოს...

— დიახაც ეგრე მოიქეცით, ყმაწვილებო, კვერს უკრავდა დონჯაძიანთ მაკრინე. თუ ნებით ვერას გახდებით, ძალა ხომ ხელში გაქვთ. ან ის და ან ჩვენა! მართალა-და, რა ღვთის რისხვაა?—მარტო იმასა აქვს ჭამის შნო და სხვას არავის?! მგონია, სამყოფად გაიძღო კუჭი.. ახლა სხვას დაანებოს, ახლა სხვამ აიმსოს იმის ტოლად მუცელი!..

— ბატონებო, ნეტა თქვენი იქ რა იჰმევა? თუ არა და, რა შეგემატებათ, რომ ამდენის ხნის მოამაგე, გამოცდილი კაცი გამოსცვალოთ. არც მაგრე დაბრმავება უნდა! აქამდე ვიღაცა ქალაქელი ბულვარის ტკეპნია ვაჟბატონები მოვიდნენ და შთაგაგონათ—ესა და ეს სთქვითო, თქვენც დაგიღიათ პირი და ამოიძახით: არ ვარგაო, ბანკსა სჭამსო, ქვეყნის სიმდიდრეს ჰღუპავსო, ასე ეკამათებოდა მოწინააღმდეგეებს მწუხარიძიანთ ქეთო, რომელიც ამ უცნაურს კრებას მალე მოსცილდა. სუსნიაშვილმა კოტემ ჩვეულებრივ გადაჭყიტა და მიმავალს ქეთოს მიაყვირა—შემცდარი ბრძანდები, კნიაჟნავ, „ეი ბოლ!..“ თუ იმან იცის ჭამა, მე რაღა ნაკლებად შევჭამ კაი ჩახრაკულ-მოხრაკულებსა. ხალხი აღელდა ქეთოზედ. დაიწყეს ჯიჯინი და მითქმა მოთქმა,—ნეტა, მაგას რა აწიწინებს, იქნება დაქრთამულია?.. ახლა რიგი მიდგა ოთარზედ, რომელიც გულ-მოდგინედ ისმენდა ბაასსა და კამათსა. იმანაც დაიწყო:

— ყმაწვილებო, ჩვენ იმ საქმისა არაფერი გვესმის. მგონია ამაზედ ყველა დამემოწმებით. არც არაფერი ჩვენი შეძლება იქ იჰმევა. დე, იმან იდაროს, ვის ფულსაცა სჭამენ, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, პირობა კაცს ცოლს წაართმევსო. რა-კი იმ ყმაწვილებს პირობა მივეცით, ვერ ვუღალატებთ, თორემ მე როდის ჩავიხედე ბანკის თავმჯდომარის შესავალ-გასავალის დავთარში, რომ ვსთქვა, ცუდი თავ-მჯდომარეაო. მაგრამ რა-კი მეუბნებიან,—ასეთიაო, მეც ვიძახი, ასეთია-მეთქი... ხომ გაგეგონებათ: ხმა ღვთისა, ხმა ერისაო!..

ხალხში კიდე ჩოჩქოლი ასტყდა. ზოგმა უსაგნოდ ხითხითი დაიწყო, ზოგს კიდევ გულზედ სევდა შემოაწვა, თითქო ამ ჭკუის არარაობისგანაო.

ხალხში წრე გაკეთდა. მოზძანდა კაჭკაჭაანთ ნინუცა, რომელსაც შუაგული ადგილი დაუთმეს. ისიც კოპწიად გამოიჭიმა და მთელის საზოგადოების ყურადღება მიიზიდა. ნინუცა ქართულ კაბაში იყო მორთულ-მოკაზმული. ახალ „მოდის“

„National Zeitung“,—ვინც ორ იმპერატორის შეხვედრისაგან პოლიტიკის ზოგიერთ ძნელის საგნების გადაწყვეტას მოელის, არ უნდა დავივიწყოთ, რომ იმპერატორი ვილჰელმი გერმანიის ინტერესების დამცველია, ხოლო იმპერატორი ნიკოლოოზი—რუსეთისა, ამ ორის სახელმწიფოს ინტერესები-კი ძალიან განსხვავდებიან ერთი მეორისაგან და მათი შეთანხმება-შეკავშირება მეტად ძნელი, თითქმის შეუძლებელია. წმინდა, გულწრფელი კავშირი და მეგობრობა სლოვიანთა და გერმანელთა შორის ძნელად მოსალოდნელია. მეტად ღრმად არის გამჯდარი ამ ორ ხალხს შორის მტრობა-სიძულილი. გარდა ამისა, რუსი და გერმანელი ისე განსხვავდებიან ხასიათით ერთი-ერთმანეთისაგან, რომ მათი დაახლოვება შეუძლებელია“. შემდეგ გაზეთი ამბობს, რომ, მართალია, იმპერატორი ვილჰელმი მოეწონებათ რუსეთში, მაგრამ ეს მოწონება მაშინვე გაჰქრება, რაწამსაც საფრანგეთის პრეზიდენტი ფელიქს ფორი პეტერბურგში გაჩნდებაო. სხვა გაზეთის სიტყვით, რუსეთის მთავრობა ერთნაირად კარგად მიიღებს როგორც იმპერატორს ვილჰელმს, ისე პრეზიდენტს ფელიქს ფორს, მაგრამ ხალხი მხოლოდ ამ უკანასკნელს მიეგებება სიხარულითა და აღტაცებითაო. „პეტერბურგისა და ბერლინის სამეფო კარნი დიდის მეგობრობით არიან შეერთებული, ამბობს გაზეთი „Neve West-Mitteil“, ხოლო რუსეთისა და გერმანიის ხალხთა შორის ღრმა და გაუვალი უფსკრულია. სლოვიანები და გერმანელები ერთი ერთმანეთისათვის არ არიან გაჩენილნიო“.

—

**ბოსნია.** გაზ. „Ostd. Rundsch“ იუწყება, რომ ტუზლში სამხედრო სასამართლომ ბოსნიის თექვსმეტს მართლ-მადიდებელ სერბს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. თოთხმეტი მათგანი დახვრეტილ იქმნა, ხოლო ორი ჩამოხრჩობილი. მიზეზი ასე სასტიკად დასჯისა არავინ იცის; არც ის იციან, თუ რა დანაშაული მიუძღოდათ იმათ მთავრობის წინაშე. გაზეთის სიტყვით, ავსტრიის მთავრობა ამ საქმის ვითარებას არავის არ უმხელსო.

## დამაკვირდი

მთელი ჩვენი სიცოცხლე იმას უნდა, რომ თავი ჩვენი ცხოვრების თვის განვიმზადოთ: ძველთა მეცნიერთ ტეუფელდ-კი არ უწოდეს სააქაო ცხოვრებას მხოლოდ დასაწყისი სხვა, უმაღლესის ცხოვრებისა.

პიერემონისა

* * *

ერთ გვარად საცოდავი არ არის სიჭაბუკეს მოკლებული სიდამაზე და სიდამაზეს მოკლებული სიჭაბუკე.

ლაროშფუკო

* * *

სიბრძნე ის-კი არ არის, რომ ვნებათა ღელვანი ჩავიკლათ, არამედ ის, რომ ისინიც ჩვენდა საბედნიეროდ წარვმართოთ.

დუბუა

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ბევრჯელა თქმულა და დაწერილა, რომ ძაღლის ნერწყვი მავნებელი არისო, განსაკუთრებით ბავშვებისთვის და ამიტომ ბავშვს ნება არ უნდა მისცეთ ძაღლს აკოცოსო, მაგრამ ზოგი ამ გაფრთხილებას არავითარს ყურადღებას არ აქცევს. ამას წინად ქ. გალლში გარდაიცვალა ერთი მდიდარი კაცი უცნაურის სენისაგან: სხეულში გაუჩნდა წვრილი ჭიები, რომელიც ძაღლისაგან გადაედო. ოპერაციის დროს ამ კაცის ღვიძლიდგან ასზე მეტი ჭია ამოუღიათ. ღვიძლსა და ფილტვებს შორის ამ კაცს იარა გაჩენია თურმე. მიზეზი ამ კაცის ავადმყოფობისა ძაღლები ყოფილან, რომელიც ლოკავდნენ თურმე პატრონს და უეჭველია ძაღლის ნერწყვისაგან გადაედო სენი.

(„პ. ი ლ.“)

* * *

შვეიცარიაში ამ ჟამად ყოფილა ორი ფიჭვის ხე. 1546 წელს შედგენილს რუკაში სწერია, რომ ამა და ამ სახლის უკან ორი დიდი ფიჭვის ხე სდგასო. მაშასადამე ეს ორი ხე სამას ორმოც-და-ათის წლისაზე მეტისა ყოფილა. შვეიცარიაშივე უპოვნიათ ერთი ფიჭვის ხე, რომელიც ამ ჟამად 497 წლისა არის.

* * *

გამოუანგარიშებიათ, რომ მოსკოვის მიდამოებში 597 ხე დაუზიანებია მეხსა და მათ შორის 302 ალვის ხე ყოფილა. ეს გარემოება ამტკიცებს, რომ ალვის ხე ძლიერ კარგი ყოფილა მეხის ასაცდენად და ურიგო არ იქნება, რომ სოფლების მახლობლად გააშენონ.

* * *

ნიუ-იორკში ამას წინად ერთი საკვირველი ოპერაცია მოუხდენიათ მკურნალებს რენტგენის სხივების შემწეობით. ამ ქალაქში სცხოვრობს ერთი ახალგაზდა ქალი, რომელიც თურმე ნემსებსა ჰყლაპავს. მკურნალები ამტკიცებენ, რომ ასეთი ავადმყოფები სხვა ადგილებშიაც გვინახავს—სულით ავადმყოფთა სამკურნალოებშიო. ეს შემთხვევა იმით არის შესანიშნავი, რომ მკურნალებს ამ ქალის სხეულიდგან უკვე 800 ნემსი ამოუღიათ. თითონ ქალი არა ტყდება, ნემსი ჩემს სიცოცხლეში არ ჩამიყლაპავსო, ამიტომ მკურნალები ამბობენ, რომ უეჭველია, ქალი სულით ავადმყოფი უნდა იყოს და როდესაც სიგიჟე მოერევა, მაშინა ჰყლაპავს ნემსებს და მერე აღარ ახსოვსო. მკურნალმა ბურომ რენტგენის სინათლის შემწეობით გადაიღო ამ ქალის მარჯვენა მხარის სურათი და შიგ დაინახა 30 ნემსი. 9 ნემსი იმ წამსვე გამოიღეს, ქალს ძლიერ ბევრი სისხლი გამოუვიდა და დასუსტდა, ამიტომ ეს ოპერაცია დროებით შეაჩერეს და ამიერიდგან თვალ-ყური უნდა ადევნონ, რომ კიდევ არ ჩაყლაპოს ნემსები.

* * *

ერთს მეცნიერს, გვარად გოფმანს გაუკეთებია ისეთი მანქანა ტელეფონისა, რომლის შემწეობით შეიძლება გაგონილის ჩაწერა. ტელეფონის მანქანის ხუფზედ გამართულია ისეთი თვლები, როგორიც საწერს მანქანასა აქვს. როდესაც კაცს ტელეფონით ელაპარაკებიან, ამ თვლების შემწეობით ძლიერ ადვილია გაგონილის ჩაწერა. ეს მანქანა ძლიერ სასარგებლოა და ძლიერ გავრცელდება კიდეც იმ ქალაქებში, სადაც ეხლა ტელეფონებია გამართული, მხოლოდ მაშინ-კი, თუ ძვირი არ არის. თორემ ჯერ უბრალო ტელეფონიც-კი საკმაოდ არ არის ჩვენში გავრცელებული სიძვირის გამო.

## სასარგებლოა თუ არა ბასტი?

ამ სათაურით ორი წერილი იყო „ივერიაში“ დაბეჭდილი, ბ-ნთ მოსულაშვილისა და ჯავახიშვილისა *). ბ-ნ ჯავახიშვილის წერილი მეფუტკრეობის მეცნიერთა უკანასკნელს სიტყვაზეა დამყარებული და ამისთვის არ შეიძლება არ დაეთანხმოთ. არ ვეთანხმები მხოლოდ იმ აზრს, ვითომც მამალი ფუტკარიც ჰშველოდეს მუშა ფუტკარს ჭაჭის გასუფთავებაში.

ეს მეორე წელიწადია, რაც მეფუტკრეობას მივსდევ, ივრის ხეობის სხვა მეფუტკრეთაც ყურადღებას ვაქცევ, და ამ ხნის განმავლობაში არც ერთხელ არ შემინიშნავს და არც სხვა მეფუტკრეთაგან გამიგონია, რომ მამალი ფუტკრებიც ჰშველოდნენ მუშა ფუტკრებს ჭაჭის გასუფთავებაში. ჭაჭის გამსუფთავებელი ფუტკრები საფრენზედ ან საფრენის ძლიერ ახლოს სხედან და, როგორც ბ-ნი ჯავახიშვილიც ამბობს, ფრთების სწრაფის მოძრაობით შეაქვთ სკაში სუფთა ჰაერი. ფრთების სწრაფს მოძრაობას მოსდევს ჭაჭის მოძრაობა, რომელიც ჰბადებს იმ ხმას, რომელსაც ჩვენ ზუზუნს ვეძახით. დედა ფუტკარი, მამალი ფუტკარი და მუშა ფუტკარი გაირჩევიან ერთმანერთისაგან როგორც ტანის აგებულობით, აგრეთვე ფრთების მოძრაობითაც. სწორედ ამათის ფრთების მოძრაობის გარჩევისაგან წარმოსდგება მათის ზუზუნის გარჩევაც. სხვადასხვაობა ამ სამისავე ჯურის ფუტკრის ზუზუნისა ისე დიდია, რომ სმენა განვითარებულ კაცსაც ადვილად შეუძლიან მათი გარჩევა. მეფუტკრე ადვილად იცნობს მამალი ფუტკრისა, დედა ფუტკრისა და მუშა ფუტკრის ხმას. რაც ჭაჭის გამასუფთავებელი ფუტკარი ბევრია, იმდენად უფრო საფრენიდგან დიდი ზუზუნი ისმის. სიმრავლე ჭაჭის მასუფთავებელის ფუტკრებისა დამოკიდებულია სიცხე-სიცივესა და საფრენის რაოდენობაზედ: რამდენადაც სკაში სიცხე მეტია, იმდენად ჭაჭის მასუფთავებელი ფუტკარიც ბევრია; რამდენადაც საფრენი პატარაა და გარედგან ჭაერი თავის თავად ცოტა შედის სკაში, იმდენად ჭაჭის მასუფთავებელი ფუტკარიც მეტია. ჭაჭის მასუფთავებელი ფუტკარი რაც უნდა ბევრი იყოს, იმათ ზუზუნში მაინც მამალი ფუტკრის ხმა არ ისმის.

ვისაც უნდა დარწმუნდეს, ჰშველის თუ არა მამალი ფუტკარი მუშა ფუტკარს ჭაჭის დასუფთავებაში, ასე უნდა მოიქცეს: რადგანაც ღამ-ღამობით ყველა ჯურის ფუტკარი სკაშია, სიმრავლითაც ყველა სკაში უფრო ბევრი ფუტკარია, ვიდრე დღე და მაშინ უფრო მეტი ჭაჭის გამასუფთავებელია ფუტკარია საჭირო და აღარც მამალი ფუტკრები გამოდიან გარეთ, ამისთვის სწორედ ღამე უნდა დაუაროს სკებს და საფრენებთან ყური დაუგდოს, მაშინ ადვილად დარწმუნდება მეფუტკრე, რომ ჭაჭის გამასუფთავებელ მუშა ფუტკრებთან მამალი ფუტკარი არა ჰზუზუნს. დღე-კი, ნამეტნავად მაშინ, როდესაც მზე გადიხრება, მამალი ფუტკრები თითონაც ჰფრინდებიან სკიდგან და მუშა ფუტკრებიც ერეკებიან იმათ გარეთ. ქსენი საფრენის ახლოს, თუ გასაფრენად არ

*) იხ. „ივერია“ №№ 131 და 142.

---

ბაღდადი კეკლუცად შეეხვია თავზედ. იმისი ცოცხალი თვალები ცბიერად გამოიყურებოდნენ. თან ორი ჩოხოსან-ხმალ-ხანჯალოსანი, ახლად წვერ-ულვაშ აკოკრებული „კავალერი“ ახლდა. ნინუცას დანახვაზედ მანდილოსნებს შორის ჩურჩული შეიქმნა. ყველამ იცოდა, რომ ნინუცა თავ-განწირულად ებრძოდა ბანკის გამგეობას და ენაც ძრიელ უჭრიდა. რასაკვირველია, ახლაც ეს მჭრელი ენა ბევრს გულს დაჰკოდავდა და დაჰკეჩნიდა.

ნინუცამ თვისი სიტყვა ამით დაიწყო, რომ საზოგადოებას აუწყა „რაღაცა წერილის“ მიღება და დასძინა, იმ „წერილში“ პირდაპირ ნათქვამია, ბანკი მთლად დაიღუპება, თუ თავმჯდომარე არ მოიშორეთო. ამ წერილის ხსენებაზედ ნინუცას ცრემლებიც-კი წამოსცვივდა. მაგრამ თავი შეიმაგრა და ნამდვილ ორატორულად წარმოსთქვა:

— ბატონებო, მიზეზი ჩვენის შეკრებისა ის გახლავთ, რომ ყველამ ჩვენგანმა ერთი-ერთმანეთს გაუზიაროთ ჭირი და ლხინი, ბედი და უბედობა. ვეცადოთ, რომ აქამომდე დახუჭული თვალები ავიხილოთ და გავითვალისწინოთ ჩვენი ავი და კარგი. თუ ასე არ მოვიქეცით, მომავალი სანანურად გაგვიხდება. განა არა გრძნობთ, რომ ჩვენი ძალ-ღონე ჩვენი კეთილ-დღეობა, ჩვენი საბედნიერო მერმისი, ჩვენი ვინაობა და ყოველივე, რითაც-კი ერი ერობს, დამოკიდებულია იმ დიდს საქმეზედ, რომელსაც სათავადაზნაურო ბანკი ჰქვიან? ამაზედ კი თქვენ ყურსაც არ იბერტყავთ, სრულიად არა სცდილობთ, რომ ბატონი თავმჯდომარე გამოსცვალოთ, მანამ სამარეს უარესად გაგვითხრიდეს. არა, ასეთი გულ-გრილობა, დაუდევრობა, უზრუნველობა ქვეყანას ბოლოს მოუღებს და ჩვენ ბრძოლასა და შრომას არ უნდა შეუშინდეთ, თუმცა ამის წინააღმდეგია ეს პატივცემული მასწავლებელი ლევანი. აქ ნინუცამ ხელი მიუთითა ოც-და-ხუთის წლის მოხდენილ ვაჟ-კაცზე, რომელიც თავისთვის დაფიქრებული იდგა.

ლევანის ჭკვიანური სახე სიბრალულით შეჰყურებდა ახალგაზდა ნინუცას. ლევანმა მოკლედ უპასუხა ნინუცას, რომ, მართალია, იგი არ თანაუგრძნობს იმის აზრებს და კრებაშიაც მონაწილეობის მიღება არა ჰსურს.

ნინუცამ ვითომდა ყური არ ათხოვა ამ პასუხს და თავისს კილოზედ განაგრძო, რომ ამ ორის კვირის შემდეგ ჩავიდეთ თბილისში და დაინახეთ თქვენის თვალით, ტყუილიცა და მართალიც, გაიგეთ ავიცა და კარგიცაო.

ნინუცას ბაასს თითქო დასასრული არ ეტყობოდა. იქამდე ილაპარაკა, ვიდრე თითქმის ყველა არ დაიყოლია და, როდესაც გული იჯერა, ჩამოჯდა იქვე კუნძზედ მოღლილი და გარშემო მდგომთ კნიაზ-კნეინა-კნიაჟნებს სთხოვა, ხვალ სადამოთი ჩემთან მობრძანდით ჩაიზედაო. ამავე დროს აკეცილი ბაღდადის წვერები თავიდგან ჩამოიშალა და ნიკაპ ქვეშ გამოიყურთმაჯა. გაოფლიანებული სახე ბატისტის ხელსახოცით შეიმშრალა.

ახლა რიგი დარბაისელ კნეინა თამარზედ მიდგა. ამან-კი მოკლედ მოსჭრა:

— ძმანო და დანო, უბრალოდ დაგიკარგავთ ეს მშვენიერი დღე. იმის მაგიერად, რომ გეშრომათ, გემუშავნათ, თქვენ დამდგარხართ დილის აქედ და რაღაცა არა-მკითხაობაზედ ლაპარაკობთ, თავს იხეთქავთ, ხოლო რისთვის და ვისთვის, ეს მარტო მაღალმა ღმერთმა უწყის. ჩემს ორს შვილს ვფიცავ, თუმცა ბევრი ილაპარაკეთ, მაგრამ ახლაც ვერაფერს მიგიხვდით და ვერ გავიგე, თუ რა გაწუხებთ ან რა გსურთ... ამ სიტყვებზედ ნინუცა წამოდგა და თავაზიანად განუმარტა კნეინა თამარს, რომ კრებისა და ბაასის საგანი ის არის, რომ მაისში ჩავიდნენ ქალაქ თბილისს და ყოველივე საშუალება მიიღონ, რომ ის დამღუპავი „ბანკი-ჭამია“ ბატონი გააშავონ, უეჭველად ყუთში ჩაუგდონ შავი, შავი და შავი კენჭი!.. თამარმა ცოტა არ იყოს, დაცინვით გადიხარხარა და ჩვენი გონივრული ანდაზაც ზედ დააყოლა—„კუმ ფეხი გამოჰყო, მეც ნახირ-ნახირაო“... მერე მიუბრუნდა ნინუცას და ბევრი მწარე სიტყვა უთხრა:

— განაო, ეუბნებოდა თამარი, იმიტომ ისწავლე გიმნაზიაში, რომ ეგ სიბრძნე გამოგეტანა? კაცის როლი რომ არ ითამაშო, ქალური აღარა დარჩა-რა?! თუ მოცლილი ხარ, საქმე მრავალია: ჰკერე, ქსოვე, ასწავლე შვილებს, დიასახლისობა გასწიე, იკითხე, სკოლა გახსენი... თუ არა და, გადაგიხვევია შენის ქალურის მოვალეობისათვის, შეგიკრებია ეს დოყლაპიები (აქ სარდიონსა და კოტეზედ მიუთითა) და ასულელებ. შენ ხომ ნამდვილ კაცუნაობას თამაშობ. ნასწავლ ქალს ჩიხტი-კოპი წამოგიკოსებია, ვითომ „პატრიოტკა“ ვარო და ჩვენს ლეჩაქსაც კი არცხვენ... ეს რაღა ღვთის წყრომა და რისხვაა, გამოცვინდებით თუ არა სასწავლებლიდგან, მაშინვე თვალსაჩინო კაცს უნდა ეძგეროთ და სცხოთ ჰუჰყი თქვენის გაუგებარის ლაქლაქით! თქვენის ლაპარაკით და შთაგონებით ლაშის მთელი სოფელი ააჯანყოთ და ხმალ-იარაღით ჩარეკოთ ტფილისში იმ პატივ-საცემ კაცზედ გასალაშქრებლად.—მერე, რა ქვეყანა გადმოგიბრუნათ? რა დაჰკარგეთ, რას ეძებთ?!.

ნინუცამ და სხვებმაც იკადრეს გაჩუმება. მალე ნინუცა თავისის „კავალრებით“ სახლისკენ გაეშურა.

მზე ჩასასვლელს იყო, როდესაც კრება დაიშალა. ოთარი და მისი სახლობა ოთახში შევიდნენ. სიდონიას კრებაზედ ერთი სიტყვაც არ გაუგონია, მხოლოდ თავისს რძალს კატოს მისჯდომოდა და ეკითხებოდა, —რა ფერი საკაბე უყიდო მაშოსა და სოფოს საქალაქოდაო. სიდონიას ფიქრი ის იყო, რომ ეგებ ვინმემ მოიწონოს ჩემი ქალები და მეღირსოს ამათი ბედნიერება, თორემ ბანკის ჯავრი არა მაქვს, საითაც მეტყვიან, კენჭებს იქით ჩავყრიო. კატოც თანხმა იყო და ამბობდა, თქვენის ორის კენჭით რა იქნება და რა გაკეთდებაო, საითაც გითხრან, იქით გაადინე კენჭებს ტყაპაიო...

ნინუცა კი თავისას არ იშლიდა და ემზადებოდა საკენჭოსნო ბრძოლისათვის. ხშირად ჰმართავდა კრებებს, უქადაგებდა კენჭოსნებს, უმასპინძლდებოდა „მუქთა-ხორებს“....

* * *

მაისის დამდეგს ჟუჟუნა წვიმა მოვიდა და დანამა გაფურჩქვნილი მინდორ-ველი. ერთს ძველებურ ორსართულიან სახლში დიდი შესვლა-გასვლა და მზადება იყო. ვენახზედ გადაკიდებულ გძელს აივანზედ თავიდამ ბოლომდე მაგიდები იყო გაშლილი. აქ სადილობდნენ და ნადიმობდნენ ნინუცას სასიამოვნო სტუმრები. შეექცეოდნენ ხარბად ღვინოს და ხორაგს. ნინუცა უსაზღვროდ იყო მხიარული. არც მისი „მონა და მოსამსახურე“—მეუღლე—მიხეილი იყო მოღუშული. ჰსვამდა ყანწებით ღვინოს და აძალებდა სტუმრებს. საღამომდე სტუმრები კარგად ჩალხნენ ღვინოში. სადილზედ ნინუცამ ორატორობას საზღვარი არა ჰქონდა. სადილის შემდეგ გაჩაღდა დიდ დარბაზში ლეკური. დაირამ და სალამურმა მცეკვავებს გული აუტოკა,

ემზადებიან, ფრთებს არ იქნევენ. ამისათვის შეიძლება გასავრცნად მომზადებული მამალი ფუტკარი ჭაერის გამასუფთავებლად მიიღოს.

მეორე წერილში ბ-ნი მოსულიშვილი სწერს: „ბასტი არამცთუ მავნე მწერი არ არის ფუტკრებისათვის, არამედ დიდად სასარგებლოა. ბუნებამ ყოველს სულდგმულს თავისი მნიშვნელობა და საქმე მიანიჭა“-ო. მართალია, „ბუნებამ ყოველს სულდგმულს თავისი მნიშვნელობა და საქმე მიანიჭა“, მაგრამ ბასტი-კი ისეთი სასარგებლო არ არის, როგორც ბ-ნ მოსულიშვილს ჰგონია.

ბ-ნ მოსულიშვილს აქვს ორი სკა, სასწორზედ დაუთანასწორებია და შემდეგ ორივეში ერთნაირის წონის ბასტი ჩაუმატებია და ასეთს დათანასწორებულს სკებს ერთის დღის განმავლობაში ათ ათი გირვანქა მოჰმატებია. შემდეგ, ე. ი. მეორეს საღამოს, ერთის სკიდგან ჩამატებული ბასტი ამოუღია და მეორეში-კი ისევ დაუტოვებია. ამ სკებს ერთის დღის განმავლობაში მოუმატებია: პირველს, ე. ი. უბასტოს, რვა გირვანქა, ხოლო მეორეს, ბასტიანს, 10 3/4 გირვანქა. ეს ამბავი ადვილად დასაჯერებელია, მაგრამ ბასტიანს სკაში უფრო მეტი ღალა შეუტანიათ მარტო იმისთვის-კი არა, რომ ბასტის მომატებით სითბო მოჰმატებია და მუშა ფუტკარი სამუშაოდ გაფრენილა, არამედ იმისთვისაც, რომ რაკი ბასტს შეტანილ ღალისათვის ჭამა დაუწყია, მუშა ფუტკარი უფრო გამხნევებულა და მეტის მუშაობით ძალიან ბევრი საზრდო შეუტანია.

ყოველ წლიწადს უდგებათ ფუტკრებს ისეთი ხანა, როდესაც ისინი გამღიერებულს მუშაობაში არიან. ამ ხანას ევროპისა და რუსეთის მეფუტკრენი ეძახიან უმთავრეს ღალის ხანას. ეს ხანა გრძელდება სულ რამდენსამე კვირას. ის, თუ ეს ხანა როდის იწყება და ან რამდენს ხანს გასტანს ხოლმე, დამოკიდებულია საფუტკრის ადგილ-მდებარეობასა და ამინდზედ; ამ ხანში მუშა ფუტკრები სრულიად უყურადღებოდ სტოვებენ ბასტს, მიუხედავად იმისა, ბევრია სკაში ბასტი თუ ცოტა, და დიდს მუშაობაში არიან ჩვენის აზრით, სწორედ ეს ხანა, ხანა უმთავრესის ღალის შეტანისა, ყოფილა მაშინ, როდესაც ბ-ნს მოსულიშვილს აუწონია სკები და ბასტის მნიშვნელობა უცდია. როდესაც უმთავრესის ღალის შეტანის ხანა მიიწურება, მაშინ მუშა ფუტკრებიც ნელ-ნელა ქეჯავიან ბასტებს, სკიდგან ერეკებიან და ჰხოცავენ, ასე რომ რიგიანს სკაში ზამთრის პირს არც ერთი ბასტი არ უნდა ჩარჩეს. ბ-ნს მოსულიშვილს რომ ამ უმთავრესის ღალის გამოღების დროს ეცადნა მნიშვნელობა ბასტისა, მაშინ მომეტებული ნაწილი მუშა ფუტკრებისა ბასტის გარეთ გამორეკასა და ხოცვას მოუნდებოდა და ღალას იმდენს ვეღარ შეიტანდა, რამდენსაც უბასტო მუშა ფუტკარი.

შარშან გაზაფხულზედ სოფელ ნინოწმინდაში მღვდლის ნიკოლოზ გუდიასშვილის საფუტკრეში ერთმა ძლიერმა თვალმა, რომელიც დადანის სისტემის სკაში იყო მოთავსებული, მეტად ბევრი მამალი ფუტკარი გამოიყვანა. ამის გამო ეს ძლიერი თვალი ისე დასუსტდა, რომ თითქმის ელნდებოდა. გავსინჯეთ. დედა სალი ჰყავდა. მამალი ფუტკარი დავუხოცეთ და თვალი ისევ ისე გაძლიერდა, ყველა უჯრები გაავსო თაფლით და, ასე გასინჯეთ, ხაზინის დადგმაც-კი დასჭირდა.

შარშანვე დავდგით ორი ერთნაირის ღონის სკა, ორივეს ერთნაირად ბევრი მამალი ფუტკარი ჰყავდა; ვიდრე თითონ არ დაუწყეს მამალ ფუტკრებს ხოცვა, ჩვენ ხელი არ გახლეთ, ორივე სკაში ერთ ნაირად ბევრი თაფლი ჰქონდათ; როდესაც თითონ მუშა ფუტკრებმა დაუწყეს გამორეკვა და ხოცვა მამლებს, მაშინ საცდელად ჩვენც მარტო ერთს სკას ვუშველეთ მამალის ფუტკრის დახოცვა. რომელსაც ჩვენ დავუხოცეთ მამალი ფუტკარი, იმას ოც-და-ორი გირვანქით მეტი თაფლი აღმოაჩნდა მეორეზედ.

ეს ნაამბობი იმას ამტკიცებს, რომ სჯობია „დაეხმარნენ ფუტკრებს ბასტის ხოცვაში, როგორც ბ-ნი ჯავახიშვილი ამბობს, რადგანაც იმას ვნებისა და ზარალის მეტი არაფერი მოაქვს“.

ერთად ერთი დანიშნულება ბასტისა, როგორც ბუნებასაც მიუნიჭებია მისთვის, არის ახალის დედა ფუტკრის დანერგვა და როდესაც თითონ მუშა ფუტკარი ჰხოცავს მამალს ფუტკარს, მაშინ, რასაკვირველია, ახალი დედა ფუტკარიც დანერგილია და მამალი ფუტკარი აღარც საჭიროა.

მეფუტკრე მაიკო მათიკაშვილისა
სოფ. პატარძეული.

## ახალი წიგნი

გამოვიდა არ. ქუთათელაძის მიერ შედგენილი ახალი წიგნი „ქართული ზმნების კლასიფიკაცია“. წიგნი სუფთად არის გამოცემული და შეიცავს 45 გვერდს პატარა ფორმატისას. ბოლოში წიგნს ჩართული აქვს სქემა საზღვრებითის დახრისა. ავტორი სხვა ახალ შრომას „ქართული ზმნების ლექსიკონის“ შედგენასაც შესდგომია, რომლის დამთავრებასაც ახლო მომავალში გვპირდება.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

30 ივლისი.

**პეტერბურგი.** 30 ივლისს, დილის მეთერთმეტე საათიდგან პეტერგოფის ნავთ-სადგურზედ შეიკრიბნენ ხელმწიფე იმპერატორისა და იმპერატრიცას ამალა, დიდნი მთავარნი და დიდნი მთავრინანი იმპერატორის ვილჰელმისა და იმპერატრიცის ავგუსტა ვიქტორიას გასაცილებლად. დიდნი მთავარნი მიხეილ ნიკოლოოზის ძე, ვლადიმირ ალექსანდრეს ძე, ალექსი ალექსანდრეს ძე და პავლე ალექსანდრეს ძე პრუსიის მუნდირებით იყვნენ. თერთმეტი საათი რომ სრულდებოდა, მობრძანდნენ ხელმწიფე იმპერატორი და გერმანიის იმპერატორი, მათ მოჰყვნენ ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული და გერმანიის იმპერატრიცა. ნავთ-სადგურთან გამწკრივებულ იყო რაზმი პრუსიის მეფის ფრიდრიჰ ვილჰელმისა თვისის სარდალის მეთაურობით. იმპერატორები რომ მობრძანდნენ, მუსიკამ გერმანიის საერო ჰიმნი დაუკრა. იმპერატორი გამოეთხოვა აფიცრებსა და ჯარის კაცებს· გერმანიის იმპერატორს რუსეთის მუნდირი ეცვა, რუსეთის იმპერატორს—გერმანიისა. დიდ მთავრებსა და ხელმწიფის ამალას გერმანიის იმპერატორი ყველას სათითაოდ თავაზიანად გამოეთხოვა. გაიარა რა ის ოთახები, სადაც მათ უდიდებულესობათ ელოდნენ იმპერატრიცები და დიდნი მთავრინანი, იმპერატორი ვილჰელმი ერთხელ კიდევ მივიდა დიდ მთავართან მიხეილ ნიკოლოოზის ძესთან, გადაჰკოცნა იგი და გამოეთხოვა დიდს მთავრებს. გერმანიის იმპერატრიცაც სათითაოდ გამოეთხოვა დიდს მთავრებსა და მთავრინებს. შემდეგ იმპერატორნი, იმპერატრიცანი და მათი ამალა ჩაბრძანდნენ გემში სახელად „ალექსანდრია“. ხალხი „ურას“ იძახდა, მუსიკა გერმანიის საერო ჰიმნს უკრავდა. გემს „ალექსანდრია“-სთან გაჰყვა გენერალ-ადმირალი დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე საკუთარის გემით „სტრელა“. სასახლიდგან დაწყებული ქუჩები ხალხით იყო სავსე.

31 ივლისი

**პეტერბურგი.** 29 ივლისს, სადღესასწაულო სადილის დროს, ხელმწიფე იმპერატორმა წარმოსთქვა შემდეგი სადღეგრძელო გერმანულად:

„დიდად მიხარის ჩემს სტუმართა შორის რომ ვხედავ აფიცრებს გერმანიის ფლოტისას, რომელშიაც მეც ვირიცხები. ვსვამ მათ სადღეგრძელოს და ვისურვებ გერმანიის მშვენიერ ფლოტის წარმატებას“.

გერმანიის იმპერატორმა პასუხად სთქვა შემდეგი:

„ჩემის ფლოტის სახელით დიდს მადლობას ვუძღვნი თქვენს უდიდებულესობას. ვსვამ თქვენის უდიდებულესობის მშვენიერ ფლოტის სადღეგრძელოს და ვუსურვებ დღეგრძელობასა და წარმატებას ამ ფლოტს, რომლის ადმირალადაც მე ეხლა ვითვლები“.

**კრონშტატი.** 30 ივლისს, საღამოს 6 საათზედ, გერმანიის საიმპერატორო გემი „ჰოჰენცოლერნი“ გერმანიის ესკადრით ზღვაში წავიდა. რუსეთის გემებზედა და კრონშტატის ფორტებში ზარბაზნები დასცალეს.

**პეტერბურგი.** 30 ივლისს, დაბრუნდნენ რა კრონშტატიდგან, მათნი უდიდებულესობანი და მათი უმაღლესობა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე საღამოს 7 1/2 საათზედ კრასნოე სელოში წაბრძანდნენ.

**პარიზი.** პეტერგოფში წარმოთქმულ სადღეგრძელოების გამო გაზეთი „Yournal des Depats“-ი ამბობს, რომ საფრანგეთში ვერავის შეაწუხებს რუსეთისა და გერმანიის შორის კეთილი განწყობილება. საფრანგეთსა და რუსეთს შორის კავშირი უკვე დამყარდა. დიდ სახელმწიფოთა შორის იმდენი საერთო ინტერესია და განსაკუთრებით ინტერესი მშვიდობიანობის დაცვისა, რომ ამ გარემოებათა წყალობით ადვილად აიხსნება ის კეთილი განწყობილება, რომელსაც მოასავებს პეტერგოფში წარმოთქმული სადღეგრძელოები.


# განცხადებანი

ცნობილ ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიანი, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

ბ. მ. მირიმანიანისა

რომლისაგანაც საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოება ყოველს საჭირო სამუსიკო იარაღსა ჰყიდულობს.

Тифлисъ. Музыкальное депо Б. М. Мириманяна. Дворцовая ул.

(9)


მაგრამ ესეც კია, რომ ჩაბრუნებულმა კენჭოსნებმა დარბაზის იატაკი კინაღამ არ ჩაამტვრიეს მეტის ფეხების პარტყუნით.

მაისის ნახევარი გავიდა და მოახლოვდა საბანკო კრების დღე. სასიამოვნო დილა იყო. ჩიტებსა და ბულბულებს ბაღებში ხეხილზედ გაჰქონდათ ჭყიპინ-ჭიკჭიკი. შორიდამ ცელქის ლიახვის შხუილი მოისმოდა. მინდვრებიდამ გუგულის ძახილი და მუშა ხალხის სიმღერა ამკობდა ამ მომხიბლავს ბუნების მუსიკას და ყველა ეს სასიამოვნოდ მოქმედობდა აივანზედ მდგომს მაშოზედ. იმ ჟამად მაშოს ფიქრი ლევანს დასტრიალებდა, მაშო იმის მოსვლის მოლოდინში იყო, იმის გზისკენ ცქერით თვალის ძაფები აწყდებოდა. მაშოს დედა სიდონია კიდევ სოფელში დარბოდა,—ხან მაკრინესთან მიიჭრებოდა—ბაღდადი და კაბა მათხოვეო, ხან ქეთოსთან, წამოსასხამითა და საგულის-პირეთი ხელი გამიმართეო. ქეთომ თხოვნა არ აუსრულა—ჩემს ტანისამოსს მოსყიდულ ხალხს არ ვაჭუჭყიანებინებო და მაშინ სიდონია თამარას შეემუდარა. თამარმაც უკმეხად შეჰხედა. მაგრამ სიდონიამ დაარწმუნა, შავის კენჭის ჩასაგდებად კი არა, ჯერ ქალაქი არ გვინახავს და იმის სანახავად მივდივართო და მაშინ თამარმაც ყველაფერი გადმოუღო, რაც სიდონიამ სთხოვა. არც ოთარი გახლდათ დასვენებული. ამანაც მთელი სოფელი დილა ადრიანად მოირბინა. ზოგს ხარები სთხოვა, ზოგს ურემი, ზოგს ტაბიკები, ზოგს კიდევ ფარდაგი და საპნის კათხა და ამნაირად გამართა საგზაოდ ურემი.

აგერ ურემიც მალე გაჭრიალდა. სიდონიამ რამდენჯერმე პირჯვარი გამოისახა. გაუდგნენ გზას. ოთარი და ლევანი ურემს ცხენებით მისდევდნენ.

ოთარი მეტად საგანგებოდ იყო მორთული. შავი მაუდის კაბა ჩაეცვა და ყურთ-მაჯები მხრებზედ გადაეგდო. ძველებური შეკერილი შავი დიბეტის ახალუხი თავისის ღილ-კილოთი, ყელზედ ჰრელის წითელის აბრეშუმის ბაღდადითა და ლურჯი კალმუხის მამა პაპურად ჩაკეცილი ქუდი მეტად იზიდავდა დამნახავის ყურადღებას. ახლად მოპარსული სახე ასჭარხლებოდა, საუზმეზე გადაკრული არყით თვალები საამიყოდ უციმციმებდა. წვეტიანი ყვითელის ტყავის წაღები უზანგში წეეყო და თავმოწონებით ნათხოვარს ცხენს მოაჩქარებდა.

მეორე ურემიც მალე დაეწიათ. იმ ურემს ერთი ცხენოსანი მისდევდა და ერთიც ფეხით მიჩანჩალებდა. ცხენოსანი იყო ხიფათიძიანთ სარდიონი, ფეხოსანი კნიაზ კოტე სუსნიაშვილი.

ურემში ისხდნენ მაკრინე თავისის ქალითა და რძლით. ჩვენმა მგზავრებმა გორს მიატანეს. აქ ეტლი შეხვდათ და ეტლში მედიდურად გადაჰიმულიყო ცნობილი კაჭკაჭაანთ ნინუცა თავისის „მონა და მოსამსახურე“ მეუღლითა. ორი „კავალერიც“ წინ უსხდნენ. როდესაც ურმებს მოუახლოვდნენ, „კავალერებმა“ შემოსძახეს.—

„წყალსა ნაფოტი მოჰქონდა,
ალვის ხის ჩამონათალი,
დადექ, ნაფოტო, მიამბე
მოყვრისა შემონათვალი“-ო.

და უმალ გაჰქრა ეტლი.

ჩვენი მეგობრები მალე თბილისშიაც ჩავიდნენ.

საბანკო კრებაზედ რა მოხდა, ან ჩვენმა მგზავრებმა ვის როგორი კენჭი ჩაუგდეს, ეს მე არ ვიცი. მხოლოდ ივლისის დამლევს ქ. გორში ოთარ დინჯაძე შემხვდა და იმან გადმომცა, რაც კრებაზედ მომხდარიყო. დიდი ამბავი იყოო, კრებას აუარებელი საზოგადოება დაესწროო და იმ „ბანკის-ჭამიამაც“ იმდენი თეთრი მიიღო, რომ ერთ ურემზედ ძლივ დაეტევოდაო. ჩვენი კენჭები აბა რას დააკლებდა, მაგრამ მე საკუთრივ მარჯვენა არ უნდა გამხმობოდა, რომ იმისთანა კაცისათვის შავი კენჭი მიმეცაო. მერე ოთარ დინჯაძე დაწვრილებით მოჰყვა, თუ რა აღტაცებით მიეგება საზოგადოება არჩევას, რა „ვაშას“ გრიალი იდგა თეატრის დარბაზში, რა სროლა იყო ყვავილებისა და ბაღდადებისა. მე გაკვირვებით ვუსმენდი და ასე მეგონა, სიზმარში ვარ მეთქი. ნეტავი, რა მდგომარეობაში იქნებოდნენ კაჭკაჭაანთ ნინუცა და მისი საბანკო ამალა?!.

ლიზა ჩერქეზიშვილისა.

ს. კოშკა.